

შპს „ვი აი პი სტომატოლოგია“-ს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები.

1, ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.

შპს „ვი აი პი სტომატოლოგია“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2000 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის თავდაპირველი სახელწოდება იყო შპს „ქუსი“. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის სასამართლოს. მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 204954969 2007 წლის 10 ოქტომბრიდან შეიცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს „ვი აი პი სტომატოლოგია“ კომპანიის ამჟამინდელი დამფუძნებელია ქ.ჩემია - 100% წილის მფლობელი.

საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებები არ განხორციელებულა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა:

- სტომატოლოგიური მომსახურების გაწევა,
გარდა აღნიშნულისა 2017 წლიდან კომპანია ახდენს პირის და კბილების მოვლის საშუალებების საცალო რეალიზაციას.
- საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის ორგანიზებით კომპანიამ ჩაატარა სასერთიფიკატო სემინარები ამ სფეროს მუშაკებისთვის. სემინარებიდან შემოსული თანხები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

-წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

-ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

-საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ყველა

ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარებში, არასრული თანხები დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე საზოგადოდ მიღებული წესით.

-ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებოვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება

ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.0701 (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2,5922 ლარი, ერთი ევრო 3,1044). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით). საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

-ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

-კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საზოგადოდ მიღებულ წესებს და დებულებებს, მის პრინციპებსა და სტანდარტებს.

მიღებული (შემენილი) აქტივების (ძირითადი საწარმოო საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური მარაგების) შეფასების აღიარება და ასახვა აღრიცხვაში ხდება მათი ფაქტიური თვითღირებულებით, რომელიც ყალიბდება მათი შემენის, მათი ტრანსპორტირების, განბაჟების და საკუთრების უფლების გაფორმების ხარჯებით (მათი არსებობის შემთხვევაში).

სამეურნეო ოპერაციები საბუღალტრო პროგრამაში აისახება მათი ხდომილობის თარიღებით:

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მათი შემენის ან/და გაყიდვის დოკუმენტების საფუძველზე, სატრანსპორტო მომსახურება მათი შესრულების დამადასტურებელი

დოკუმენტების (ხელშეკრულებები, ინვოისი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) თანახმად, საიჯარო მომსახურება გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პერიოდის დასრულების თარიღით.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა.

სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის ეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

სასაქონლო მატერიალური მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში (საანგარიგებო პერიოდის მანძილზე შპს „ვი აი პი სტომატოლოგია“-ს შემთხვევაში ასეთს წარმოადგენდა პირის ღრუს მოვლის

საშუალებები.) ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია სტომატოლოგიური მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით. ნეტოსარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მითითებულთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორც ის იმყოფება.

- კომპანიის არ გააჩნია არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა.

- კომპანიას არ გააჩნია იჯარა რომელიც კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, რადგან იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარე ვალდებული იქნებოდა ფინანსური იჯარა ეღიარებინა როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლები იქნებოდა, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საწარმო მომსახურების გამწევთან დაკავშირებულია მოკლევადიანი ხელშეკრულებით და ასევე მოკლევადიანი საიჯარო ხელშეკრულება აკავშირებს საკუთარ მოიჯარადესთან ამგვარი იჯარა კი სტანდარტის თანახმად აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდების საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად

აღიარებულია სარჯებში იჯარიდან მიღებული შემოსავლები კი აღიარებულია შემოსავლებში.

კომპანია საანგარიშგებო (2018წ) პერიოდში თავის საქმიანობას აწარმოებდა ქ.თბილისში ალ. ყაზბეგის #14ა-ში (კომპანიის კუთვნილი ფართი) და ქ. თბილისში, ლუბლიანას #62 (დაქირავებულ ფართში)

- შპს „ვი აი პი სტომატოლოგია“-ში დასაქმებულია საშუალოდ 85 ადამიანი, კომპანიაში დაცულია და ყურადღება ექცევა შრომის უსაფრთხოებას.
- კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისათვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა „ორისს“

სამეურნეო ოპერაციები ოპერატიულად აისახება საბუღალტრო აღრიცხვაში, რაც სასაქონლო-მატერიალური მარაგების და სხვა ნაშთების დროული კონტროლის საშუალებას იძლევა.

2019 წლის ივლისი თვეში კომპანიის დამფუძნებელმა განიხილა აქ წარმოდგენილი შედეგები და დაამტკიცა ისინი.



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები		
სავაჭრო მოთხოვნები	145,367	37,688
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	56,425	78,037
მარაგები	31,451	59,625
- მზა პროდუქცია	180,447	108,078
- სხვა		
საინვესტიციო ქონება	180,447	108,078
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები	15,745	12,420
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები		
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში	1,341,558	1,187,455
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები	50,700	56,041
სულ აქტივები	1,821,693	1,539,344
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები		
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	46,417	61,117
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები	13,413	4,750
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები	2,660,639	2,488,296
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	2,720,469	2,554,163
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში)	422,000	422,000
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(1,320,776)	(1,436,819)

მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	116,043

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(1,014,819)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	116,043
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(898,776)

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(64,664)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	172,343
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	107,679
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	37,688
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	145,367



გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		-
სულ საკუთარი კაპიტალი		-
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	(898,776)	(1,014,819)
	1,821,693	1,539,344

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები


	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	
საქონლის გაყიდვიდან	2,032,184
მომსახურების გაწევიდან	2,018,289
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	13,895

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	
საწყისი მარაგები	(364,598)
მარაგების შესყიდვა	(108,078)
გადამუშავების დანახარჯები	(436,967)
საბოლოო მარაგები	180,447
საერთო მოგება	1,667,586

სხვა შემოსავალი	20,039
დასაქმებულთა ანაზღაურება	(968,109)
ცვეთა და ამორტიზაცია	(53,215)
საპროცენტო შემოსავალი:	7,684
საპროცენტო ხარჯი :	(154,969)
იჯარის ხარჯი	(103,843)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(219,449)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,471,862)

საოპერაციო მოგება	195,724
-------------------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(79,681)
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციები	116,043



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	145,367	37,688
სავაჭრო მოთხოვნები	56,425	78,037
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	31,451	59,625
მარაგები	180,447	108,078
- მზა პროდუქცია		
- სხვა	180,447	108,078
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	15,745	12,420
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-
ძირითადი საშუალებები	1,341,558	1,187,455
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები	50,700	56,041
სულ აქტივები	1,821,693	1,539,344

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	46,417	61,117
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	13,413	4,750
საგადასახადო ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2,660,639	2,488,296
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	2,720,469	2,554,163

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'სააქციო კაპიტალი')	422,000	422,000
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(1,320,776)	(1,436,819)

გადაფასების რეზერვი		-
სხვა რეზერვები		-
სულ საკუთარი კაპიტალი	(898,776)	(1,014,819)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,821,693	1,539,344

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	2,032,184
საქონლის გაყიდვიდან	2,018,289
მომსახურების გაწევიდან	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	13,895

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(364,598)
საწყისი მარაგები	(108,078)
მარაგების შესყიდვა	(436,967)
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	180,447
საერთო მოგება	1,667,586

სხვა შემოსავალი	20,039
დასაქმებულთა ანაზღაურება	(968,109)
ცვეთა და ამორტიზაცია	(53,215)
საპროცენტო შემოსავალი:	7,684
საპროცენტო ხარჯი :	(154,969)
ოჯარის ხარჯი	(103,843)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(219,449)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,471,862)

საოპერაციო მოგება	195,724
--------------------------	----------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(79,681)
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციიდან	116,043
მოგების გადასახადი	

მოგება/(ზარალი)	116,043
-----------------	---------

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(1,014,819)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	116,043
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(898,776)

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(64,664)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	172,343
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	107,679
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	37,688
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	145,367